საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ბრძანება №1-1/583

2011 წლის 14 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნ ტისა და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქ ვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულება“.
2. ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან.

ვ. ქობალია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომ – სააგენტო) არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იური დიული პირი, რომელიც შექმნილია „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.
2. სააგენტოს სრული დასახელებაა: „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“. სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს სააგენტოს შემოკლებული დასახელება: „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“.
3. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, `ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს საჰაერო კოდექსით,“ ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
4. სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით.
5. სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.
6. სააგენტოს აქვს ემბლემა, მრგვალი ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
7. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, აეროპორტი, 0158.

მუხლი 2. სააგანტოს მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს:

ა) სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება და საავიაციო უშიშროება;

ბ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

დ) საავიაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

2. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირება კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
3. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამოქალაქო ავიაციის რეგულირება, მუდმივი ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით მასზე დელეგირებული ფუნქციების განხორციელება;

გ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების, საქართველოს საჰაერო კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავება და მიღება, მითითებების გაცემა, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული, სამოქალაქო ავიაციის სფეროს

მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება;

გ[1]) სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით საკითხების შესრულების კოორდინაციის უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;

გ[2]) საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით (CAAA) და „ევროკონტროლის“ საერთაშორისო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია, ზედამხედველობა და შესაბამის ორგანიზაციებთან ანგარიშების წარდგენა;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული აქტების, უსაფრთხოების მითითების მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობა და მათი დარღვევისას დამრღვევ პირთა მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

ე) სამოქალაქო აეროდრომების/ვერტოდრომების, სახელმწიფო რეგისტრაცია, სერტიფიცირება, შესაბამისი რეესტრის წარმოება და ზედამხედველობა;

ვ) საწვავ-გასამართი საწარმოების, მათი ტექნიკური პერსონალის სერტიფიცირება, ზედამხედველობა, შესაბამისი რეესტრის წარმოება და ტექნიკური პერსონალის მოწმობების გაცემა;

ზ) საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეს (აეროდრომის/ვერტოდრომის რაიონის) დადგენა და ამ არეში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრა/შეთანხმება;

ზ[1]) სააერნაოსნო კვლევის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

თ) სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაცია და შესაბამისი რეესტრის წარმოება;

თ[1]) უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაცია, შესაბამისი რეესტრის წარმოება და უპილოტო საჰაერო ხომალდების და უპილოტო საჰაერო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა;

თ[2]) პარაპლანით ფრენის შესრულების რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ პარაპლანებთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე კონტროლი, ზედამხედველობის ფარგლებში, ნაკლოვანებების გამოვლენა, აღნიშნული პირის საქმიანობის შეჩერება ან შეზღუდვა;

ი) საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება;

ი[1]) საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება;

ი[2]) ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფი) სერტიფიკატის გაცემა, შესაბამისი რეესტრის წარმოება და ზედამხედველობა;

კ) ავიასაწარმოების სერტიფიცირება და მათ მიერ ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების შესრულებაზე ზედამხედველობა;

ლ) ავიასპეციალისტის მოწმობის და სამედიცინო სერტიფიკატის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება, სხვა სახელმწიფოების მიერ გაცემული ავიასპეციალისტის მოწმობის და საკვალიფიკაციო აღნიშვნების აღიარება;

ლ[1]) ავიასამედიცინო ცენტრების და ავიასამედიცინო ექსპერტების სერტიფიცირება;

მ) სამოქალაქო ავიაციის სასაწავლო დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობა, სამოქალაქო ავიაციის სასაწავლო დაწესებულებებისა და პერსონალის სერტიფიცირება და შესაბამისი რეესტრის წარმოება, მასწავლებლის მოწმობის გაცემა, უცხო ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების აღიარება;

ნ) საჰაერო ხომალდებისა და საფრენოსნო ეკიპაჟების მარშრუტზე შემოწმება;

ო) საავიაციო-სამედიცინო-საექსპერტო კომისიის საქმიანობაზე ზედამხედველობა;

პ) საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე და შეკეთებაზე დაშვების უფლების მოწმობების გაცემა, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის ან მისი ანალოგიური დოკუმენტის აღიარება;

ჟ) საჰაერო ხომალდის ფრენისათვის ვარგისობის მოწმობა და სათანადო საბორტო დოკუმენტაციის გაცემა;

რ) სააერნაოსნო მომსახურების რეგულირება, სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება, ზედამხედველობა, ინსპექტირება, უწყვეტი მონიტორინგი და სერტიფიცირებული სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სააერნაოსნო მომსახურების განმახორციელებლად დანიშვნა;

რ[1]) სააგენტოში წარმოდგენილი სახელსაწყო ფრენის პროცედურების შეთანხმება;

ს) სააერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების აღიარება;

ტ) სააერნაოსნო რუკების, სახელსაწყო ფრენის პროცედურების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის შედგენასა და გამოქვეყნებაზე ზედამხედველობა;

ტ[1]) „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციი დანართებში არსებული სტანდარტების, რეკომენდირებული პრაქტიკისა და პროცედურებს და სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი სამართლებრივ აქტებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ და კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში სხვა ინფორმაციის წარდგენა სააერნაოსნო მომსახურების საწარმოსათვის;

უ) სრულუფლებიანი მეტეოროლოგიური ორგანოს” უფლებამოსილების განხორციელება და სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიურ მომსახურებაზე ზედამხედველობა;

ფ) საძებნ-სამაშველო მომსახურების ზედამხედველობა და კონტროლი კომპეტენციის ფარგლებში და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაცია;

ქ) საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურის და კლასიფიკაციის ჩამოყალიბება საქართველოს

თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით და საჰაერო სივრცის ორგანიზების და საჰაერო მოძრაობის ნაკადის ორგანიზების ზედამხედველობა;

ქ[1]) ავიასაწარმოების უსაფრთხოების მართვის სისტემის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეთანხმება;

ქ[2]) საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ანალიზი, გავრცელება, მათი თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების შემუშავება, შეტყობინებების სტატისტიკური ანალიზი და წლიური ანგარიშის მომზადება, შეტყობინებების მონაცემთა ბაზის წარმოება, შეტყობინების შესახებ მონაცემების გაცვლა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებასთან და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან;

ღ) (ამოღებულია - 11.04.2016 წ., №1-1/198);

ყ) სანავიგაციო სეზონების მიხედვით ავიაგადამზიდველების ფრენის განრიგების დამტკიცება;

შ) საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველების საერთაშორისო ბაზარზე დაშვება, უცხო ქვეყნის ავიაგადამზიდველების საქართველოს ავიაბაზარზე დაშვება;

ჩ) საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველების დანიშვნისა და ფრენის სიხშირეების განაწილებისას აუქციონის ჩატარების ორგანიზება საერთაშორისო ხელშეკრულებით შესაბამისი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში.

ც) ავიაგადამზიდველებზე არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება;

ძ) საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალიზირებული ექსპლუატაციის (საავიაციო სამუშაოების) წარმოების მიზნით, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის დეკლარაციის მიღების სისრულის შემოწმება და დადასტურება; საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ მაღალი რისკის შემცველი კომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაციის განხორციელების ავტორიზაციის გაცემა, შეზღუდვა და გაუქმება; სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ სპეციალიზირებული ექსპლუატაციის (საავიაციო სამუშაოების) წარმოების ნებართვის გაცემა და გაუქმება.

წ) სამოქალაქო საჰაერო ხომალდით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ზედამხედველობა და „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-18 დანართის („სახიფათო ტვირთის უსაფრთხო საჰაერო გადაზიდვა“) საფუძველზე, სახიფათო ტვირთების სამოქალაქო საჰაერო ხომალდით გადაზიდვის აკრძალვისაგან გათავისუფლება;

ჭ) სატვირთო ტერმინალების სერტიფიცირება და შესაბამისი რეესტრის წარმოება;

ხ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;

ჯ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებსა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისა და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით ნორმატიული აქტების შემუშავება/მიღება;

ჰ) საავიაციო უშიშროების სფეროში:

ჰ.ა) საავიაციო საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილების ღონისძიებების განსაზღვრა;

ჰ.ბ) საპასუხო მოქმედებების ოპერატიული ხელმძღვანელობა ჰაერში მყოფ საჰაერო ხომალდზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების დროს;

ჰ.გ) აეროპორტების საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის კომიტეტების ზედამხედველობა;

ჰ.დ) ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და მისი ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგი;

ჰ[1]) სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დასაშვები დონის განსაზღვრაში მონაწილეობა და მისი მონიტორინგი; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, საფრთხეების იდენტიფიცირება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;

ჰ[2]) კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო ინტერესის საერთაშორისო რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისთვის სპეციალური ელექტრონული კოდის გაცემა და ამავე კონვენციით გათვალისწინებული IDERA-ს დოკუმენტის რეესტრის წარმოება;

ჰ[3]) „საერთაშორისო ავიაციისთვის ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებისა და კომპენსაციის სქემის (CORSIA)“ მართვა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავიაციო საქმიანობებისთვის სათბურის აირების ემისიების ავტორიზაციის გაცემა.

4. სააგენტო თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას თანამშრომლობს საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №1-1/1864 - ვებგვერდი, 19.10.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №1-1/198 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №1-1/97 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგმარდი განვითარების მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №1-1/591 - ვებგვერდი, 18.12.2018 წ.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №1-1/535 - ვებგვერდი, 10.12.2020 წ.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 21 ივლისის ბრძანება №1-1/281 - ვებგვერდი, 24.07.2023 წ.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №1-1/311 - ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 3. სააგენტოს ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

2. სააგენტოს დირექტორი :

ა) წარმოადგენს სააგენტოს;

ბ) კანონმდებლობისა და დებულების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს და ერთპიროვნულად წარმართავს სააგენტოს საქმიანობას;

გ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის , სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესრულებისათვის სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროში;

დ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), იღებს გადაწყვეტილებას (დადგენილებას) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;

ე) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს და ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემას.

ვ) სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო ნუსხას და განსაზღვრავს სახელფასო განაკვეთებს;

ზ) სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგენს მოადგილეების კანდიდატურებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;

თ[1]) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს თანამშრომლებთან დებს და წყვეტს ადმინისტრაციულ, შრომით და სააგენტოში სტაჟირების გავლის შესახებ ხელშეკრულებებს;

ი) ანაწილებს მოვალეობებს სააგენტოს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს სააგენტოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

კ) ზედამხედველობს სააგენტოს თანამშრომელთა მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიმდინარეობას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სააგენტოს თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას; იღებს გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

ლ) სააგენტოს სახელით დებს გარიგებებს და ანიჭებს უფლებას სააგენტოს წარმომადგენლობაზე;

მ) საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოფს სააგენტოს მზადყოფნას;

ნ) უზრუნველყოფს სააგენტოს თანამშრომელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას;

ო) სააგენტოს სახელით აცხადებს კონკურსებს და ტენდერებს;

პ) სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს სააგენტოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

ჟ) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით წარადგენს წინადადებებს;

რ) იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის შესახებ, შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის შესახებ , რომლებიც საჭიროა სააგენტოს ფუნქციების განსახორციელებლად. პასუხისმგებელია სააგენტოს ქონების და ფულადი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ს) ამტკიცებს სააგენტოს ემბლემას, ბეჭდების, შტამპებისა და ბლანკების ნიმუშებს;

ტ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

უ) სამინისტროსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისა და დანამატებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე, სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტებს;

ფ) უფლებამოსილია სერტიფიკატების გაცემაზე, ასევე საავიაციო უსაფრთხოების/საავიაციო უშიშროების მოთხოვნათა გათვალისწინებით სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებაზე, შეცვლასა და გაუქმებაზე, ასევე სერტიფიკატით მინიჭებული უფლებების შეზღუდვაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სააგენტოს დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის, ერთი პირველი. მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. სააგენტოს დირექტორის მოადგილეები დირექტორის გადაწყვეტილებით კურირებენ სააგენტოში მათთვის მიკუთვნებულ სფეროს. მოადგილეების უფლებამოსილებები განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

5. სააგენტოს დირექტორის დავალებით მოადგილეები, ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

განსაზღვრული უფლებამოსილების გარდა, ასევე, ასრულებენ სააგენტოს დირექტორის დავალებებს.

6. სააგენტოს დირექტორის შვებულების, საზღვარგარეთ მივლინების ან საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო დირექტორის მოადგილეების შვებულებაში, მივლინებაში ან საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის ან მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სააგენტოს თანამშრომელი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ახორციელებს დირექტორის ყველა უფლებამოსილებას.

7. სააგენტოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 17 სექტემბრის ბრძანება №1-1/256 - ვებგვერდი, 18.09.2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №1-1/198 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №1-1/535 - ვებგვერდი, 10.12.2020 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 21 ივლისის ბრძანება №1-1/281 - ვებგვერდი, 24.07.2023 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №1-1/311 - ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა, პერსონალი და სამუშაო გარემო

1. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი;

ბ) აეროდრომების და აეროპორტების დეპარტამენტი;

გ) სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტი;

დ) საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი;

ე) გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი;

ვ) საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი;

ზ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

თ) (ამოღებულია - 03.08.2023წ, №1-1/296);

ი) ხარისხის მართვის დეპარტამენტი;

კ) უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი;

ლ) სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტი.

2. სააგენტოს თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით უნდა ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური, გამოცდილი და კომპეტენტური თანამშრომელი/პერსონალი.

3. სააგენტოს სამუშაო გარემო, სულ მცირე, მოიცავს:

ა) შესაბამის საოფისე ფართს;

ბ) საოფისე აღჭურვილობას (კომპიუტერებისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების ჩათვლით);

გ) სატრანსპორტო საშუალებებს;

დ) პერსონალის უსაფრთხოების/დამცავ საშუალებებს;

ე) ინსპექტირებისთვის საჭირო ხელსაწყოებს და აღჭურვილობას;

ვ) პერსონალისთვის ხელმისაწვდომ ტექნიკურ ბიბლიოთეკას და პერსონალის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის მიღების, კონტროლისა და განაწილების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებს.

4. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს მისი ფუნქციების ჯეროვან შესრულებაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვანი ცვლილებების იდენტიფიცირებისა და მართვის პროცესი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 12 ივლისის ბრძანება №1-1/1292 - ვებგვერდი, 19.07.2011 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №1-1/2713 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №1-1/97 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №1-1/535 - ვებგვერდი, 10.12.2020 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №1-1/296 - ვებგვერდი, 04.08.2023 წ.

მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

ა) ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი – საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის საქმიანობაზე ზედამხედველობა და სასერტიფიკაციო რეესტრის წარმოება; საავიაციო სამუშაოების შესრულების უფლებამოსილების მინიჭების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, საავიაციო სამუშაოების შესრულების ზედამხედველობა; კომპლექსური საჰაერო ხომალდით საკუთარი მიზნებისთვის ექსპლუატაციის ზედამხედველობა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტისათვის ან სერტიფიკატის მაძიებლისათვის სპეციალური ნებართვის გაცემის პროცესის წარმართვა; კომპეტენციის ფარგლებში, ავიასპეციალისტის მოწმობის და სამედიცინო სერტიფიკატის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების, განახლების/აღდგენის, შეზღუდვის, შეჩერების,

გაუქმების და საკვალიფიკაციო აღნიშვნის გაცემის პროცესის წარმართვა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა და სამოქალაქო საჰაერო ხომალდის მარშრუტზე ეკიპაჟის საფრენოსნო და მეთოდური შემოწმება; კომპეტენციის ფარგლებში სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული ავიასპეციალისტის მოწმობისა და საკვალიფიკაციო აღნიშვნის აღიარების პროცესის წარმართვა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; კომპეტენციის ფარგლებში სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებისა და ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფი) სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; სასწავლო პროგრამის და სახელმძღვანელოების შეთანხმება, მასწავლებლის მოწმობის გაცემის პროცესის წარმართვა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; სხვა ქვეყნის სასწავლო დაწესებულების და საწაფის აღიარების პროცესის წარმართვა, დასკვნის მომზადება და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ავიასამედიცინო ცენტრის და ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირების პროცესის წარმართვა, შესაბამისი დასკვნის მომზადება, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა და რეესტრის წარმოება; კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა; აეროპორტში საჰაერო ხომალდის ბაქანზე შემოწმება (მათ შორის, უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდის ბაქანზე შემოწმება (SAFA/RAMP); ავიასაწარმოს უსაფრთხოების მართვის სისტემის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში საჰაერო სივრცეში ფრენის წესების შესრულებაზე ზედამხედველობა, საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეაგირება; ამ პუნქტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ნორმატიული აქტების და უსაფრთხოების მითითების პროექტების მომზადება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა; უსაფრთხოების ეფექტურობის მაჩვენებლების შემუშავება, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დასაშვები დონის განსაზღვრაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი, სააგენტოში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესში მონაწილეობა, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

ბ) აეროდრომების და აეროპორტების დეპარტამენტი – აეროდრომის და ვერტოდრომის სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, მის საქმიანობაზე ზედამხედველობა; საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არის (აეროდრომის/ვერტოდრომის რაიონის) დადგენა და ამ არეში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრა/შეთანხმება; აეროდრომების და ვერტოდრომების აღრიცხვა და საფრენი მოედნების რეგისტრაცია; აეროდრომის/ვერტოდრომის შუქტექნიკური სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობა; კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა; საწვავგასამართი საწარმოს სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და დასკვნის მომზადება, ზედამხედველობა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საწვავგასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მოწმობის გაცემის პროცესის წარმართვა, შესაბამისი დასკვნის მომზადება, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა, შესაბამისი რეესტრის წარმოება; კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროგრამების შეთანხმება; აეროდრომისა და ვერტოდრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეთანხმება; საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში, საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეაგირება; კომპეტენციის ფარგლებში, ნორმატიული აქტების პროექტების, სახელმძღვანელო მასალის და უსაფრთხოების მითითების პროექტების მომზადება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა; უსაფრთხოების ეფექტურობის მაჩვენებლების შემუშავება, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დასაშვები დონის განსაზღვრაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი, სააგენტოში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესში მონაწილეობა, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში სააერნაოსნო კვლევის განხილვა, განხილვის პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

გ) სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტი – სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, მის საქმიანობაზე ზედამხედველობა, სერტიფიცირებული საწარმოს სააერნაოსნო მომსახურების გამწევად დანიშვნის პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა; სააერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების/სისტემების აღიარების პროცესის წარმართვა და დასკვნის მომზადება; საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების სახეების განსაზღვრაში მონაწილეობა; საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის, სააერნაოსნო ტექნიკური საშუალებების მომსახურების განმახორციელებელი ტექნიკური პერსონალის, საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის, ფრენის პროცედურების დიზაინერის, კარტოგრაფის და ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურებაში ჩართული პერსონალის მომზადებისა და კვალიფიკაციის შენარჩუნების ზედამხედველობა; კომპეტენციის ფარგლებში სამოქალაქო ავიაციის სფეროში საძებნ-სამაშველო მომსახურების ზედამხედველობა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაცია; საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურის და კლასიფიკაციის შემუშავებაში მონაწილეობა; საჰაერო სივრცის ორგანიზების და საჰაერო მოძრაობის ნაკადების ორგანიზების ზედამხედველობა; ფრენის პროცედურების განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

საავიაციო რუკების პროექტების შეთანხმება, ფრენის პროცედურების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის შედგენასა და გამოქვეყნებაზე ზედამხედველობა; კომპეტენციის ფარგლებში ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მომზადება და სააგენტოს მიერ მომზადებული ჰაერსანაოსნო ინფორმაციის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; კომპეტენციის ფარგლებში სააერნაოსნო კვლევის განხილვა და დასკვნის მომზადებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, მის საქმიანობაზე ზედამხედველობა; უცხო ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების აღიარების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროგრამების შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემის საკვალიფიკაციო აღნიშვნის გაცემის პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; მასწავლებლის მოწმობის გაცემის პროცესის წარმართვა; სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობის აღიარების პროცესის წარმართვა; საერნაოსნო მომსახურების საწარმოს უსაფრთხოების და ხარისხის მართვის სისტემის, მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და საერნაოსნო მომსახურების საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში, საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეაგირება; საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შეტყობინებების სტატისტიკური ანალიზი, დამუშავება და წლიური ანგარიშის მომზადება, შეტყობინებების მონაცემთა ბაზის წარმოება, შეტყობინების შესახებ მონაცემების გაცვლა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებასთან და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან; ამ პუნქტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტებისა და უსაფრთხოების მითითების პროექტების მომზადება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა; უსაფრთხოების ეფექტურობის მაჩვენებლების შემუშავება, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დასაშვები დონის განსაზღვრაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი, სააგენტოში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესში მონაწილეობა, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; საერნაოსნო მომსახურების სფეროს მონიტორინგი და მისი ფუნქციონირების შესახებ, ასევე ერთიანი ევროპული ცის (SES) და ერთიანი ევროპული ცის საჰაერო მოძრაობის ორგანიზების გენერალური გეგმის (ATM MasterPlan) დანერგვის შესახებ ანგარიშების შედგენა/შედგენის კოორდინირება/შეთანხმება და შესაბამისი (ICAO, EC, EASA, EUROCONTROL) ორგანიზაციებისთვის წარდგენა; საჰაერო სივრცის სამოქალაქო-სამხედრო მუდმივმოქმედი კომიტეტის საქმიანობის ადმინისტრირება და ორგანიზაციული მხარდაჭერა; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესების შესრულებაზე ზედამხედველობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

დ) საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი – სამოქალაქო საჰაერო ხომალდის სახელმწიფო რეგისტრაცია და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საჰაერო ხომალდის ფრენისათვის ვარგისობის დადგენა და სათანადო საბორტო დოკუმენტაციის გაცემა; საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობის შენარჩუნებაზე მუდმივი ზედამხედველობა; ავიასაწარმოს მიერ საავიაციო ტექნიკის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს, საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმოს და საფრენად ვარგისობის კომბინირებული საწარმოს სერტიფიცირება და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა; ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფი) სერტიფიცირების და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა; საქართველოს აეროპორტებში საქართველოს და უცხო ქვეყნის სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ბაქანზე ინსპექტირება (SAFA/RAMP); უცხო ქვეყნის მიერ გაცემული საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის ან მისი ანალოგიური დოკუმენტის აღიარების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს უსაფრთხოების მართვის სისტემის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეაგირება; კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების და უსაფრთხოების მითითების პროექტების მომზადება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა; უსაფრთხოების ეფექტურობის მაჩვენებლების შემუშავება, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დასაშვები დონის განსაზღვრაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი, სააგენტოში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესში მონაწილეობა, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების პროცესის წარმართვა, შესაბამისი დასკვნის მომზადება და მის საქმიანობაზე ზედამხედველობა; სასწავლო პროგრამების შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემის პროცესის წარმართვა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; სხვა სახელმწიფოების მიერ გაცემული მოწმობის აღიარების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული საავიაციო ობიექტის რეესტრიდან ამოღებისა და ექსპორტის გამოუხმობადი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (IDERA-ს დოკუმენტი) რეგისტრაცია და შესაბამისი რეესტრის წარმოება; IDERA-ს დოკუმენტის აღსრულების მიზნით, საქართველოს საბაჟო ორგანოებთან თანამშრომლობა; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და

სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

ე) **გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი** – საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველის საერთაშორისო ბაზარზე დაშვების, უცხო ქვეყნის ავიაგადამზიდველის საქართველოს ავიაბაზარზე დაშვების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; ავიაგადამზიდველის არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვის გაცემის პროცესის წარმართვა, დასკვნის მომზადება და შესაბამისი რეესტრის წარმოება; უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი ფრენების განხორციელებისთვის თანხმობის გაცემის პროცესის წარმართვა, დასკვნის მომზადება და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საქართველოს საჰაერო სივრცეში სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ სპეციალიზირებული ექსპლუატაციის (საავიაციო სამუშაოების) წარმოების ნებართვის გაცემა და ნებართვის გაუქმება; კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა; საჰაერო ტრანსპორტზე გადაყვანა-გადაზიდვის სტატისტიკური მონაცემების დამუშავების და მათი ანალიზის უზრუნველყოფა; საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველების დანიშვნისა და ფრენის სიხშირეების განაწილებისას აუქციონის ჩატარების უზრუნველყოფა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; სანავიგაციო სეზონების მიხედვით ავიაგადამზიდველის ფრენის განრიგის დამტკიცება; საავიაციო სატვირთო ტერმინალის სერტიფიცირების პროცესის წარმართვა, დასკვნის მომზადება და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტისათვის ან სერტიფიკატის მაძიებლისათვის სახიფათო ტვირთების გადაზიდვის სპეციალური ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილეობა; სამოქალაქო საჰაერო ხომალდით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ზედამხედველობა და სახიფათო ტვირთების სამოქალაქო საჰაერო ხომალდით გადაზიდვის აკრძალვისაგან გათავისუფლება; საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების შეთანხმების პროცესში მონაწილეობა, საერთაშორისო ხელშეკრულებით და/ან საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაფორმებული დოკუმენტით გათვალისწინებულ და სხვა შემთხვევებში; საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების შემუშავება-განხილვაში მონაწილეობა; საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემასა და დახმარების აღმოჩენისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა; საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა; ამ პუნქტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროგრამების შეთანხმება, ინსტრუქტორის მოწმობის გაცემა; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა; სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული თანხმობის გაცემა;

ვ) **საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი** – საავიაციო საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა; სამოქალაქო ავიაციის სფეროში მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილების მიზნით ავისაწარმოების საქმიანობის მუდმივი ზედამხედველობა; კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა; ავიასაწარმოების საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამების შეთანხმება; ავიასაწარმოების საავიაციო უშიშროების ხარისხის შიდა კონტროლის წლიური გეგმების შეთანხმება; აეროპორტების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და სააგენტოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვის გაცემის პროცესის წარმართვა; საავიაციო უშიშროების სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; სამოქალაქო ავიაციის სფეროში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების რისკის შეფასება და რისკის შეფასების საფუძველზე სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში საფრთხის დონის განსაზღვრა; მართლსაწინააღმდეგო ქმედების დროს საჭირო ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული სახელმწიფოებისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის; კრიზისულ-ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბისთვის კონსულტაციის გაწევა; კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალური რეისების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა; საავიაციო უშიშროების უზრუნველსაყოფი ტექნიკური მოწყობილობების ტიპების, ტექნიკური და მუშა მახასიათებლების, აღმოჩენის მინიმალური პარამეტრების, ტექნიკური მოწყობილობების ტექნიკური და მუშა მახასიათებლების განსაზღვრა; საავიაციო უშიშროების უზრუნველსაყოფი ტექნიკური მოწყობილობებისა და მათი სატესტო ობიექტების ავიასაწარმოს მიერ შესყიდვის შეთანხმება; კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლო პროგრამების შეთანხმება, საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი პერსონალის სერტიფიცირების პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; მასწავლებლის მოწმობის გაცემის პროცესის წარმართვა; კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

ზ) **(ამოღებულია - 12.07.11 №1-1/1292);**

თ) **ადმინისტრაციული დეპარტამენტი** – სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა; სააგენტოს მიზნებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზება და კოორდინაცია; საავიაციო სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; სააგენტოს საქმიანობის პროტოკოლური უზრუნველყოფა; სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვა; სააგენტოსა და თანამშრომლებს შორის არსებული შრომითი ურთიერთობების სათანადო დოკუმენტური გაფორმება, მათ შორის, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული ბრძანებებისა და ხელშეკრულებების პროექტების

მომზადება; ადამიანური რესურსების ეფექტიანად მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, სააგენტოს თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების, მათი პროფესიული და კარიერული განვითარების, ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების, თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ეფექტიანობის გაზრდის და შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შიდა დოკუმენტების და ღონისძიებების ინიცირება, შემუშავება, დაგეგმვა და ცვლილების მართვა; თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება და შენახვა; სააგენტოს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების პროგრამების მართვა და კოორდინაცია; თანამშრომლების შიდა და გარე სასწავლო კურსებზე დასწრების დაგეგმვა და ორგანიზება; ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის მოწმობის გაცემა; ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის გაცემული მოწმობებისა და მინიჭებული უფლებამოსილებების (დაშვებების) აღრიცხვა და მონიტორინგი; კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანტური თანამდებობების მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე ადამიანური რესურსის შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სტაჟირებისა და პროფესიული პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და კოორდინაცია; სააგენტოს დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული საქმისწარმოების უზრუნველყოფა; დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სააგენტოში შემოსული განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა; სააგენტოს გარე კომუნიკაციის (საზოგადოებასთან, მომხმარებლებთან და მედიასთან ურთიერთობა) უზრუნველყოფა, სააგენტოს საქმიანობისა და სიახლეების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; საავიაციო ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელის საშუალებების ექსპლუატაცია, კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა; საარქივო საქმისწარმოების უზრუნველყოფა; საქართველოში რეგისტრირებული ავიასაწარმოებისგან საექსპლუატაციო-ეკონომიკური მონაცემების გამოთხოვა და მათი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მიწოდება დადგენილი ფორმების შესაბამისად; საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების შეფასება და ანალიზი, საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტისთვის გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემა, შესაბამისი რეესტრის წარმოება და მათი ფინანსური მდგრადობის შეფასება, ანალიზი და მუდმივი ზედამხედველობა; სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთის გამოთვლაში მონაწილეობის მიღება; საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა; ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა; კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შესყიდვების პროცედურების განხორციელება და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშების მომზადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარსადგენად; სააგენტოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; სააგენტოს კომპიუტერული ქსელისა და ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა; ამ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება;

ი) (ამოღებულია - 21.07.2023, №1-1/281);

კ) ხარისხის მართვის დეპარტამენტი – სააგენტოს მიერ განსაზღვრული ხარისხის, შრომის, ინფორმაციული უსაფრთხოების და ფრენის უსაფრთხოების პოლიტიკის შესრულების უზრუნველყოფა; სააგენტოში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების შესაბამისი პროცედურების შემუშავებაში მონაწილეობა; სააგენტოს წლიური სამოქმედო გეგმის და სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის კონსოლიდაცია; სააგენტოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი; კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესში მონაწილეობა; სააგენტოს მართვის სისტემის, სააგენტოში წარმოებული ძირითადი პროცესებისა და მათი რელევანტური პროცედურების მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი; მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებელი ღონისძიებების დაგეგმვა და რეგულარული განხორციელება; სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის შესაბამისობის მონიტორინგის შედეგების წარდგენა, გამოვლენილი შეუსაბამობების გამოსასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი; ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა ხელმძღვანელობისათვის; ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შიდაუწყებრივი დოკუმენტაციის შემუშავება; ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათზე რეაგირების მონიტორინგი; ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშგება; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობა; შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

ლ) უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი – უპილოტო საჰაერო ხომალდების (უსხ) სისტემების ექსპლუატანტის რეგისტრაცია და ზედამხედველობა; უსხ-ის სისტემის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემის პროცესის წარმართვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება; უსხ-ის სისტემის ექსპლუატაციაზე თანხმობის გაცემა, მასში ცვლილებების შეტანა, გაუქმება; უსხ-ის სისტემის ექსპლუატაციის დეკლარაციის მიღება და დეკლარაციის სისრულის დადასტურება; უსხ-ის სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობის განხორციელება; დისტანციური პილოტის/ინსტრუქტორის შესაბამისი

კატეგორიის მოწმობის გაცემა, გამოცვლა, მოქმედების ვადის გაგრძელება, განახლება, საკვალიფიკაციო აღნიშვნის მინიჭება; დისტანციური პილოტის/ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების/სპეციფიკური კატეგორიის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირება, სასწავლო პროგრამის შეთანხმება და საქმიანობაზე ზედამხედველობა; უცხო ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების აღიარების პროცესის წარმართვა და სასწავლო პროგრამების შეთანხმება; სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული დისტანციური პილოტის/ინსტრუქტორის მოწმობის აღიარების პროცესის წარმართვა,; ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; ზსხ-ის რეგისტრაცია (აღრიცხვა) და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ზსხ-ის იდენტიფიკაცია, საიდენტიფიკაციო ბარათის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ზსხ-ის მწარმოებლის იდენტიფიკაცია და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ზსხ-ის პილოტის მოწმობის გაცემა, უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ზსხ-ის პილოტის მოწმობის აღიარება, მოწმობის გამოცვლა, მოქმედების ვადის შეჩერება, აღდგენა, მოწმობაში უფლებამოსილების და კვალიფიკაციის აღნიშვნა, კვალიფიკაციის მოქმედების ვადის გაგრძელება და განახლება, მოწმობის გაუქმება და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ზსხ-ის პილოტ-კურსანტის/პილოტის საერთო თეორიული გამოცდის ჩატარება; ზსხ-ის პილოტ-კურსანტის/პილოტის საფრენოსნო მომზადების სილაბუსის შეთანხმება; ზსხ-ის ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირება, სასწავლო პროგრამის შეთანხმება და საქმიანობაზე ზედამხედველობა; საერთო დანიშნულების ავიაციის მიზნებისთვის ძრავიანი არაკომპლექსური საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; პლანერის კომერციული და არაკომერციულ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; პლანერის კომერციული ექსპლუატანტის დეკლარაციის მიღება და დადასტურება; პარაპლანით (ზემსუბუქი საფრენი აპარატით) ფრენის შესრულების რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის ზედამხედველობა, პარაპლანით ფრენის უსაფრთხოების, საფრენი ადგილისა და ოპერატორის სერტიფიცირების, პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის, პარაპლანის და მისი აღჭურვილობის ვარგისიანობის და დაზღვევის მოთხოვნების განსაზღვრა; საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული პირის საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების ან/და აღდგენის საკითხის დაყენება და საქმიანობის შეჩერებასთან ან/და აღდგენასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაცია/კოორდინაცია; პარაპლანით ფრენებისათვის საჰაერო სივრცის გამოყოფის პროცესში მონაწილეობა; კომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაციის (საავიაციო სამუშაოების) წარმოების მიზნით ძრავიანი არაკომპლექსური საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის დეკლარაციის დადასტურება და ავტორიზაციის/ნებართვის გაცემა, ავტორიზაციის მოქმედების ვადის გაგრძელება, ცვლილების შეტანა, შეზღუდვა და ავტორიზაციის გაუქმება და სპეციალიზებული ექსპლუატაციის ექსპლუატანტზე ზედამხედველობა; სპეციალიზებული ექსპლუატაციის განხორციელებაზე ზედამხედველობა; სპეციალიზებული ექსპლუატაციის ექსპლუატანტის საჰაერო ხომალდის ბაქანზე შემოწმება; საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეაგირება; ამ პუნქტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების და უსაფრთხოების მითითების პროექტების მომზადება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა; უსაფრთხოების ეფექტურობის მაჩვენებლების შემუშავება, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დასაშვები დონის განსაზღვრაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ფრენის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი, სააგენტოში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესში მონაწილეობა, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა;

მ) სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტების და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტი – სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში ,,ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით“ (CAAA) ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი და ამ ვალდებულებების ფარგლებში დასანერგი ევროპული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა. კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს სამოქმედო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების პროექტების შემუშავება-განხილვაში მონაწილეობა; სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ავიაციის სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა; ევროკავშირის რეგულაციებთან და დირექტივებთან, ჩიკაგოს კონვენციასთან და მის დანართებთან ავიაციის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა; სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად წინადადებების მომზადება საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხებზე; საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებით არსებული კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული საერთაშორისო ინტერესის (ქონებრივი უფლება) საერთაშორისო რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო სპეციალური ელექტრონული კოდის გაცემა; ICAO-ს სტანდარტის „საერთაშორისო ავიაციისთვის ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებისა და კომპენსაციის სქემის (CORSIA)“ მართვა; საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავიაციო საქმიანობებისთვის სათბურის აირების ემისიების ავტორიზაციის გაცემა; ამ პუნქტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო სტანდარტების და რეგულაციების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. დეპარტამენტის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ

სემინარებში, შეხვედრებში მონაწილეობა; სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა; სააგენტოს თანამშრომელთა სამართლებრივი ინფორმირება; სააგენტოს წარმომადგენლობა საქართველოს საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა პირებთან ურთიერთობებში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 12 ივლისის ბრძანება №1-1/1292 - ვებგვერდი, 19.07.2011 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №1-1/2713 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №1-1/1864 - ვებგვერდი, 19.10.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №1-1/198 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №1-1/97 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგმარდი განვითარების მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №1-1/591 - ვებგვერდი, 18.12.2018 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №1-1/535 - ვებგვერდი, 10.12.2020 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 21 ივლისის ბრძანება №1-1/281 - ვებგვერდი, 24.07.2023 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №1-1/311 - ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 6. სააგენტოს ქონება

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად , სააგენტო სათვის ქონების გადაცემა, მისი გასხვისება და შეძენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსები .

მუხლი 7. სააგენტოს დაფინანსების წყაროები

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოსსახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) მომსახურების გაწევიდან მიღებული საფასური;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად მოხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. სააგენტოს სახსრების გამოყენება სხვა მიზნით აკრძალულია.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სამინისტროს თანხმობით სააგენტომ შეიძლება განახორციელოს შემდეგი მოქმედებები :

ა) უძრავი ქონების შეძენა, სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

ვ) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის და დანამატებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა .

3. სააგენტოს უფლება აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს/გაასხვისოს სხვა პირზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 17 სექტემბრის ბრძანება №1-1/256 - ვებგვერდი, 18.09.2014 წ.

მუხლი 9. საბუღალტრო ანგარიშგება

1. სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

2. სააგენტოს წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი .

მუხლი 10. სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს

ამისთვის საჭირო მასალები და ინფორმაცია.

2. სამინისტრო უფლებამოსილია შეამოწმოს სააგენტოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერება, მიზანშეწონილობა.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 11. სააგენტოს ლიკვიდაცია

სააგენტოს ლიკვიდაციას ახორციელებს სამინისტროს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორად შეიძლება დაინიშნოს სააგენტოს უფროსი.

მუხლი 12. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება

სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მუხლი 13. დასკვნითი დებულება

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა , სააგენტოს რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. შეჩერდეს ამ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“, „ე“, „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტების მოქმედება 2023 წლის 10 აგვისტომდე.

2. 2023 წლის 10 აგვისტომდე ამ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“, „ე“, „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტების მიმართ მოქმედებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/583 ბრძანების 2023 წლის 24 ივლისამდე მოქმედი წესები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №1-1/296 - ვებგვერდი, 04.08.2023 წ.